ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №5

ჭიათურა 20 ოქტომბერი 2011წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 20 ოქტომბერს ერთის მხრივ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ითხვისის №2 საჯარო სკოლასა (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმომადგენლი – თენგიზ ფალავანდიშვილი და მეორეს მხრივ ი/მ „გოგი მოდებაძე" წარმომადგენელი – გოგი მოდებაძე (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი, ფასი და სტანდარტები

2.1 ხელშეკრულება დადებულია იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი სოფ. ითხვისის №2 საჯარო სკოლის შენობის მოწყობის სამუშაოები შესყიდვის მიზნით, რომელშიც, გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება შეასრულოს ზემოთ აღნიშნული სამუშაო ფასზე: 6641 (ექვსი ათას ექვსას ორმოცდაერთი) ლარი.
2.2 შესყიდვის ობიექტის ფასი განსაზღვრულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
2.3 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ პირობებს და მოქმედ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი, რათა დარწმუნდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალიწინებულ პირობებთან.
3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
3.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შექმნილი კონტროლის ჯგუფი.

4. მიწოდების პირობები

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არაუგვიანეს 2011 წლის 20 ნოემბრამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და სხვა საჭირო დოკუმენტაციის (ექსპერტის დასკვნა) წარმოდგენის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გავალისწინებული შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა განისაზღვრება 5 წლით. საგარანტიო პერიოდში შემსყიდველის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში აცნობებებს წერილობით მიმწოდებელს და მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაიწყოს სამუშაოების წარმოება შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა და დაასრულოს იგი შესაძლო გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 კვირისა.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტების, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო ანგარიშ ფაქტურის (საჭიროების შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

6.3. „შემსყიდველი" მიმწოდებელს უხდის წინასწარ შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 50%, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი წარმოადგენს საბანკო გარანტიას (2%).

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტით გაზრდა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. სუბკონტრაქტორები

9.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

9.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

9.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
10.2. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს პირგასამტეხლო არაუგვიანეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
10.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განმეორებით შეუსრულებლობის ან/და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ან თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მომსახურება ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. შეტყობინება

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნისმეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ-ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2011 წლის 30 ნოემბრამდე.

18. დასკვნითი დებულებები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან იდენტურ ეგზემპლიარად, ერთი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას მისი განუყოფელი ნაწილია.

18.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით შესრულებისა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ითხვისის №2 საჯარო სკოლა	ი/მ გოგი მოდებაძეი
	ურიდიული მისამართი: ქ. ჭიათურა, 9 აპრილის ქ.№32
ს/კ 215606324	ს/კ 54001024313
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
სს „საქართველოს ბანკი“	სს „პრივატბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: CAVOGE22
ანგ.№ GE85BG0000000123350300	ანგ.№ GE42TP0036010000000604

სკოლის დირექტორი თ. ფალავანდიშვილი

გ. მოდებაძე

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ითხვისის №2 საჯარო სკოლის მიმდინარე შეკეთება

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	მოიხსნას სახურავიდან დაზიანებული თუნუქის სახურავი	მ^2	30			2,00	60,0			60,0
2	მოეწყოს აცინკოვანი თუნუქის სახურავი საკვეთებით სისქით 0.55-მდე	მ^2	30			5,00	150,0			150,0
3	თუნუქი აცინკოვანი 30 X 1.15	მ^2	34,5	10,50	362,25	0	0	1,0	34,50	396,75
4	ლურსმანი 30 X 0.011	კ გ.	0,33	3,90	1,29	0	0	0	0	1,29
5	მოეწყოს ტიხარი საკედლე ბლოკისაგან სისქით 20 სმ	მ^3	4,2	75,0	315,0	25,0	105,0	0	0	420,0
6	მოეწყოს ღორღის საფარი იატაკის ქვეშ	მ^3	5	25,0	125,0	17,0	85,0	15,0	75,0	285,0
7	მოეწყოს იატაკზე ცემენტის მჭიმი სისქით 3სმ	მ^2	60	2,50	150,0	3,0	180,0	0,50	30,0	360,0
8	დაიგოს იატაკზე 4 მმ ფანერა დაშურუფვებით	მ^2	60	8,0	480,0	3,0	180,0	0,2	12,0	672,0
9	მოეწყოს ლამინატის იატაკი თავის ქვეშსაგებით ადგილობრივი წარმოების	მ^2	60	16,0	960,0	5,0	300,0	0,3	18,0	1278,0
10	შეილესოს ტიხრის კედლები ცემენტის ხსნარით	მ^2	42	3,0	126,0	4,0	168,0	0,3	12,6	306,6
11	მოეწყოს პლასტიკატის შეკიდული ჭერი ხის კარკასზე	მ^2	60	4,25	255,0	4,0	240,0	0,2	12,0	507,0
12	შეიღებოს საკლასო ოთახებში ჭერი და კედლები წყალემულსიის საღებავით	მ^2	130	3,0	390,0	2,5	325,0	0,0413	5,37	720,37
13	შეკეთდეს ადგილზე არსებული ხის ფანჯრის ბლოკები	მ^2	12	5,0	60,0	5,0	60,0			120,0
14	შეიმინოს ფანჯრის ბლოკი 4 მმ სისქის მინით	მ^2	12	14,0	168,0	0,5	6,0			174,0
15	მოეწყოს ჰორიზონტალური ღვარსაშები	გრძ /მ	25	2,0	50,0	1,5	37,5			87,5
	ჯამი									**5538,51**
	ზედნადები ხარჯები 8%									**443,08**
	ჯამი									**5981,59**
	გეგმიური დაგროვება 8%									**478,53**
	ჯამი									**6460,11**
	ექსპერტიზის ხარჯები 2,8%									**180,88**
	ჯამი									**6641,0**

*) ფასები იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის
ითხვისის №2 საჯარო სკოლა

სკოლის ~~დირექტორი~~ თ. ფალავანდიშვილი

მიმწოდებელი:

ი/მ გოგი მოდებაძე

გ. მოდებაძე